სახალხო გაზეთი

№ 165 სამშაბათი, 23 ნოემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში, ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ იხსნება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большья Ванская ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

******ხელის-მომწერთა საყურადღებოდ******

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

რესტორანი
მონტე-კარლო

ვერის დაღმართი, სახლი ყორღანოვისა.

ყოველ დღე 2 საათიდან საღამოს 5 საათამდე და 8 საათიდან ღამის 2 საათამდე უკრავს რუმინული სიმებიანი ორკესტრი, რომელიც შესდგება ქალებისა და კაცებისაგან.

ბუფეტში მოიპოვება რუსეთისა და უცხოეთის სასმელები. სამზარეულოს ხელმძღვანელობს გამოცდილი კულინარი.

(2—228—2) პატივისცემით **ი. ნ. ბაჩაშვილი.**

მოითხოვეთ ბუნებრივი
კახური ღვინოები
თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ—ს.

საკუთარ ვენახებიდან.

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—12)

ტელეფონი № 862. ქართული თეატრი **წარმოდგენა № 26.**

ხუთშაბათს, 25 ნოემბერს, 1910 წელს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
ლევ ტოლსტოის ხსოვნის პატივსაცემლად
მეუფება წყვდიადისა,
დრამა 5 მოქმედებად და 6 სურათად ლევ ტოლსტოისა, მეველეს თარგმანი.

წარმოდგენის დაწყებამდე წაკითხულ იქნება რეფერატი
აპოთეოზი
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზოგადოება. **რეჟისორი** ვლ. ს. ალ. მესხიშვილი.

ადგილების ფასი: გალერეია 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში მეგირდეებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „ყაჩაღები", „ზოგი ჭკუა მარგებელია", ნორჩი თაობა" „ქალის ჭკუა", „მისს გობს" და სხვ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.
ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.
საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

ბედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირაძლოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—332)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ზ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. მოლოდი—ყელ., ყურ., ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვიროპ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ,—495)

ბლუზათა კვირა

22, 23, 24, 25, 26, და 27 ნოემბერს
● დიდის ფას-დაკლებით ●
გ. მ. ჩილინგაროვის მაღაზიაში
სასახლის ქუჩაზე
დანიშნულია ბლუზათა კვირა

მატყლის ბლუზები	3 მ. 75 კ.-დან.
ნაქსოვი ბლუზები	3 მ. 50 კ.-დან.
ტულის ბლუზები	4 მ. 75 კ.-დან.
აბრეშუმის ბლუზები	5 მ. 25 კ.-დან.

აგრეთვე ღამის სამოსელი, შარფები, სირაქლმის ბოა, მარაბუ, ბეწვეულის გარნიტურა, რიდიკულები, ჩულქები, ცხვირსახოცები, ქამრები, ჟაბო, ხელთათმანები, თივთიკის კაპოტი, მატინე, ქვედა იუბკები, აბრეშუმის ალპაგა, ნაქსოვი ლიფები და წინსაფრები.

✦ დამზადებულია ქალთა საცვლები და სხვა ახალი რამ ✦

ტელეფ № 850. დიდის ფას-დაკლებით ტელეფ. № 850.

ბლუზათა კვირა ბლუზათა კვირა

ბლუზათა კვირა

რ. ა. პორტუგალოვისა
ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან
დიდძალი
◀ ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები ▶
იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

კაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს ხატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩვენგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ხიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. 50—57—42)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მაზლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონზე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 3—4 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

სარაპ—ბავშვ., შინ. ყოველ დღე 12—1 საათ.

ვესელოვზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 ნახ. საათ. 10 ნახევარ ს. ყოველ დღე.

პონდოევი—ნერვ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ დღე 2—3 საათ.

ხატისოვი ნ დ.—ბებ., ქალ., ყოველ დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათოშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—23)

ექიმი **ე. ი. მინასიანცი** სწამლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ მატშიუს სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—28)

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი **ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—19)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხეილ ბედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—ნ.—88)

ექიმი **ზ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი **რ. დ. მაჭავარიანი** იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—37

ექიმი **ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი **ი. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—269

ექიმი ქ. ქუთაისში **თ. ტყეშელაშვილი** დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ.** 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილაროვის სახლი, (50—170—13)

წიგნის გამომცემლობა
„კოლხიდა"
პატივისცემით სთხოვს თავის აგენტებს, რომ დააჩქარონ ფულის გამოგზავნა, რადგან მხოლოდ უფულობის გამო შეგვეშლება ხელი და ვისაც ფული გადახდილი აქვს თავის დროზე იმასაც ველარ ჩავაბარებთ. კიდევ ვიმეორებთ, უკეთუ ამ თვის დამლევამდე ფულებს ვერ მივიღებთ, იმ აგენტებს და ხელის-მომწერლებს წიგნები არ გაეგზავნებათ. ფული **მხოლოდ** ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: ტფილისი, **ქ. თავართქილაძე.**

ვისაც პირადათ საქმე აქვთ ჩვენთან, კანტორა იმყოფება სემენოვის ქ. № 4, სტამბა „ნადეჟდა"-ში. (3—1)

ტფილისი, 21 ნოემბერი

საზოგადო მოღვაწეობა და სპეციალისტები.

ვინც ხალხის მდგომარეობაზე, იმის კულტურულ და ნაციონალურ იდეალებზე და რეალურ ინტერესებზე ფიქრობს, იმისი აზრი ძალაუნებურად ეძებს ისეთ გზებს, რომლებითაც უნდა სწარმოებდეს განვითარება და რომელთაც შეუძლიანთ უზრუნველჰყონ წარმატება აწმყოსა და მომავალში. წარმოების ერთ-ერთს გზას, ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ჯეროვანად მომზადებული ინტელიგენცია. ამიტომ თითოეული ადამიანი, სერიოზულად და მეცნიერულად მომზადებული საზოგადო მოღვაწეობისთვის, კეთილდღეობის თვალსაზრისით განსაზღვრული ღირებულებაა, განსაზღვრული კულტურული ძალაა. ეხლანდელ მდგომარეობაში, რომელიც გარეშე და შინაგან პირობების გამო, ფართო გასაქანს არ აძლევს სხვა და სხვა წარმტაც იდეალებს, მოსალოდნელი და შეუძლებელია საზოგადოებრივ შეგნებაში მაგრად მოიკიდოს ფეხი პიროვნების კულტმა.

პიროვნების კულტი თავის—თავად, რა თქმა უნდა, უფრო სასარგებლოა, ვიდრე საზარალო. დიდებულ მოღვაწეთა პატივისცემა და ამ ნიადაგზე პიროვნების პრობლემის წინ წამოყენება ბუნებრივიც არის და მოსაწონიც. მთელი ისტორია ჩვენის ეროვნულის აღორძინებისა მე XIX საუკუნეში, ისტორია ლიტერატურისა და კულტურულ-ნაციონალურ დაწესებულებათა დაარსებისა არის ამასთანავე ბიოგრაფია ჩვენის დიდებულის მოღვაწეებისა. დიდრონ პიროვნებათა წარმატება ისტორიულ განვითარების პროცესში ჩვეულებრივს ანალიზს არ ემორჩილება, მაგრამ განათლებულ, ინტელიგენტურ, ადამიანის საშუალო ტიპი კი თვალსაჩინოდ არის დამოკიდებული საზოგადოებაში გამეფებულ შეხედულებისაგან. ჩვეულებრივ რასაც საზოგადოება თხოულობს განათლებულ ადამიანისაგან, სწორედ განსაზღვრავს ინტელიგენტის საშუალო ტიპს.

ჩვენს საზოგადოებაში **ჯერ** ისევ სრულიად პირველყოფილი შეხედულება ბატონობს ინტელიგენტურ შრომაზე და განათლებულ ადამიანს ხავს მოკიდებული, დაძველებული, მოთხოვნები წარედგინება. იყო დრო კაცობრიობის ისტორიაში—მას შემდეგ საუკუნოებმა გაიარა,—როცა მთელი ცოდნა ერთ მეცნიერებად იყო გაერთიანებული, რადგან თვით ცოდნა სამიკროსკოპო ზომისა იყო. **Philosophie est sientia rerum humanarum divinarum***), ამბობდნენ მაშინ. იმ დროს თითოეულს ფილოსოფოსს, უკეთ რომ ვთქვათ, თითოეულს მეცნიერს ყველაფერი უნდა სცოდნოდა, ყველაფერზე პასუხი მზად უნდა ჰქონოდა. მას შემდეგ ათას წლობით დრომ გაიარა, გარდაიქმნა თვით კაცობრიობა, გაჩნდენ ცალკე მეცნიერებანი და ისე გართულდა მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობა. რომ ეხლა ნაყოფიერი მუშაობა გაძნელებულია ვიწროდ შემოხაზულ ასპარეზზედაც კი. თანამედროვე ქართველი საზოგადოება, ამის მიუხედავად, განათლებულ ადამიანისაგან, ანუ ინტელიგენტისაგან, ისეთსავე საყოველთაო ფილოსოფოსობას მოითხოვს, როგორც მხოლოდ ათას წლების წინად იყო შესაძლებელი. ამის შედეგი კი ის არის, რომ ირგვლივ სერიოზულად და მეცნიერულად მომზადებულ მტკიცე მოღვაწეების მაგიერ მხოლოდ უფერულს და შაბლონურ დილეტანტებს ვხედავთ. ექიმი, იურისტი, ან ინჟენერი, ჩვენში იძულებულია თავის პროფესიის გარდა ხელი მოჰკიდოს აგრეთვე თეატრის საქმეებს, ლიტერატურას და მონაწილეობა მიიღოს ბანკის საქმეებში. იგივე შეიძლება ვთქვათ ლიტერატორებზე, პედაგოგებზე და სხვა პროფესიის ხალხზე. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ასეთ პირობებში ჩვენ არასოდეს არ გვეყოლება არც საკმაოდ მომზადებული ექიმი, ინჟენერი და იურისტი, და არც თანამედროვე მოთხოვნათა შესაფერი პედაგოგი, ჟურნალისტი და სხვა მოღვაწე. საყურადღებო მოვლენაა, რომ ჩვენში თითქმის ყველას პირზე აკერია, მაგალითად, რომ საჭიროა შესწავლა ხალხის ცხოვრების პირობებისა და გამოკვლევა იმის რეალურ საჭიროებისა და მოთხოვნისა, მაგრამ დილეტანტობის მიზეზით ამ ზოგად დებულებაზე შორს არავინ არ მიდის. რა თქმა უნდა, ეს გარემოება მართოოდენ იმას ჰმოწმობს, რომ კვლევა-ძიებისთვის საკმაოდ მომზადებული ადამიანები არ მოიპოვებიან.

გადაჭრით შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენს საზოგადოებაში გამეფებული შეხედულება ინტელიგენტურ მოღვაწეობაზე პირდაპირ შეუძლებლად ჰხდის მართლა მომზადებულ ადამიანების წარმოდგომას. თანამედროვე მოთხოვნათა დაკმაყოფილებული მოღვაწენი მხოლოდ იქ შეიძლება გაჩნდნენ, სადაც ინტელიგენტურ შრომის სპეციალიზაცია საზოგადოებრივ შეგნების ქვაკუთხედს შეადგენს და სადაც იგი მართლა განხორციელებულია. ექიმებს, იურისტებს, ინჟენრებს, პედაგოგებს და სხვებს თამამად შეუძლიანთ საზოგადო მოღვაწეებად შეიქნენ, თუნდაც თავის პროფესსიას არ გასცილდნენ საჭიროა მხოლოდ, რომ ისინი თანამედროვე მეცნიერულ ცოდნას არ იყვნენ ჩამორჩენილი. რაც უნდა ვიწრო ასპარეზზე ილვწოდეს კარგი სპეციალისტი, იმისი მოქმედება მაინც სასარგებლო იქნება ხალხისთვის. ფასი და ძალა სწორედ კარგ სპეციალისტებსა აქვთ და არა იმ დილეტანტებს, რომელთაც თითქოს ყველაფერი იციან, ხოლო ნამდვილად კი არც ერთ საქმისთვის არვარგანან.

Ionnesco.

---

*) ფილოსოფია არის მეცნიერება საკაცობრიო და ღვთაებრივ საქმეებისა.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

21—22 ნოემბერი.

საზღვარ-გარედ.

სტამბოლი. 18 ნოემბერს უსკუბის სადგურის მახლობლად კვლავ აფეთქება მოხდა.

ბულგარიის საზღვრის მახლობლად საქონლის მატარებლებ შუა ნაღმიანი პატრონა გასკდა, 5 იმსხვერპლა.

ურმია. 300 სპარსელი მხედარი საზღვარ-გარედ გაიქცა.

ჯუმას მეჩეთში 250 სარბაზი გაიფიცა, მიზეზი ჯამაგირის მიუცემლობაა.

სტამბოლი. „ტანინი" რამდენიმე საბუთის ქაღალდს ამჟღავნებს, რომლებიდანაც აშკარა ხდება, რომ მაკედონიის არეულობას ბულგარია აქეზებდა. სხვათა შორის მეფე ფერდინანდის მდივნის დობროვიჩის წერილიცაა მოყვანილი, 1903 წლის 22 დეკემბრის თარიღით, მონასტირში მყოფ ბულგარიის კომიტეტის მიმართ. დობროვიჩი, მეფე ფერდინანდის სახელით თანაგრძნო-

ბის გამოცხადებისათვის მადლობას უხდის, ურჩევს მტკიცედ იყავით, მოთმინება იქონიეთო დაარწმუნებს. რომ მეფე ფერდინანდი მეტად გულმოკლულია ბულგართა სამწუხარო მდგომარეობით და მათის ბედის გაუმჯობესობაზე ზრუნავსო.

პარიზი. მეურნეობის მინისტრმა პალატის კომისიას განუცხადა, რომ პარიზში პურის შემოზიდვის გასაადვილებლად, ნება დართულია პურის კერძო საწყობის გახსნა, რასაც საბაჟო თვალყურს ადევნებს. ბაჟს მხოლოდ მაშინ გადაახდევინებენ, როდესაც მსყიდველი ფულს გადაიხდის. მთავრობა შუამდგომლობს, რომ ასეთი საწყობები საფრანგეთის სხვა ადგილებშიაც მოაწყონ.

ლონდონი. ულსტერის საგრაფოში უნიონისტების კომიტეტმა დაადგინა, დაუყოვნებლივ მოითხოვონ იარაღი და ამუნიცია; იმათი კანდიდატები ლიბერალი ნორმანი და სოციალისტი-სნოუდენი. მინისტრმა მორლეიმ განაცხადა,—მე სოციალისტი არა ვარ, მაგრამ თუ ჩვენი ქვეყნის ბედი ტორიების ხელში ჩავარდება, ისეთი ყალთაბანდობა მოიკიდებს ფეხს, ეგრედ წოდებულ, სოციალურ რეფორმებში, რომ ათასჯერ მირჩევნია პარლამენტში თუნდა ასობით აირჩიონ სნოუდენებიო.

ლონდონი. 2 საათამდე არჩეულია 14 ლიბერალი, 33 უნიონისტი, 5 რედმონდის მიმდევარი, ამათ შორის ჯონ რედმონდი.

პარიზი. სენამ დაიწია. პროვინციებიდან იუწყებიან, რომ მდინარეები დიდდება. მდინარე გარმა წალეკა ლაპეოლის მიდამოები, მდ. ლაურამ—ნანტის მიდამოები და გარის დეპარტამენტის რამდენი სოფელი. სანოვაგეს ნავებით ეზიდებიან. სუვეტში ორი დაირჩო.

ბუდაპეშტი. ფინანსთა მინისტრმა პოლონის საპასუხოდ, განაცხადა, რომ სესხის გაცემა ნაკლებ სარგებლიანი არ იყო, ვიდრე ის, რომელიც საფრანგეთში უნდა აეღოთ. პოლონი ამტკიცებს რომ გერმანიაში სესხის საქმე როტშილდის ჯგუფის შემწეობით მოეწყო, რადგანაც ამ ჯგუფისათვის 5 მილიონი უნდა გაენაღდებინათ, იმ თანხის ასანაზღაურებლად, რომელიც მან მთავრობას დაახარჯა სარჩევნო საქმეებზე. ამ განცხადებამ პალატაში დიდი აურზაური გამოიწვია. ფინანსთა მინისტრი ლუკაჩი და პოლონი ერთმანეთს შეურაცხმყოფელ სიტყვებს ეუბნებიან. ოპოზიცია დარბაზსა სტოვებს. უმრავლესობა ლუკაჩს ოვაციებს უმართავს.

სტამბოლი საპასუხო ადრესს პალატა პირველ წაკითხვას შემდეგ ღებულობს. ვეზირი კაბინეთის პროგრამას აცნობს და ამტკიცებს, რომ ალბანეთის ამბოხება რეაქციონური და სეპარატისტული მოძრაობა კი არ იყო; იგი დაძველებულმა წესწყობილებამ გამოიწვია, როდესაც შეიარაღებული ხალხი უკულტურო ბეგების ბრძანებას ყურმოჭრილად ემორჩილებოდნენო, არეულობას, დამშვიდებას გარდა, იარაღის აყრით, გზების გაყვანით და სკოლების გახსნით ვებრძოდითო. ამან მაკედონიაში უკმაყოფილება დაბადა და ბოლგარიაში გახიზვნა იწყეს. ბულგარიასთან ხელშეკრულების დადებით, გაქცეულები მაკედონიაშივე დავაბრუნეთ და სიწყნარე დამყარდა. რის გამოც იქ სამხედრო წესები მოვხსენითო. გაურანშიაც ბელადებმა მცხოვრებნი ააჯანყეს. მაგრამ მშვიდობიანობას, იქაც ვამყარებთ და იარაღს ვართმევთ. იემენში იმამი იაგი სადივროსიც უსისინებს ხალხს, მაგრამ რკინის გზის გაყვანით, მოლაპარაკებით და სამხედრო ძალით მშვიდობიანობას დავამყარებთო. სესხის თაობაზე, ვეზირმა განაცხადა, რომ საფრანგეთში სესხის აღებას ფინანსიურმა მიზეზებმა შეუშალა ხელი და არა პოლიტიკურმა მოსაზრებამაო; საფრანგეთთან, როგორც ინგლისთანაც ჩინებული განწყობილება გვაქვსო. გავრცელებული ხმები, ვითომც სამთა კავშირს ვემხრობოდეთ, სიმართლეს მოკლებულია. ჩვენ ყველა სახელმწიფოებთან თანაბარი განწყობილება გვაქვსო. ჩვენი ჯარის გაძლიერების საქმემ, ხმები გამოიწვია, ვითომც ვისსამე წინააღმდეგ ვემზადებოდეთ, მაგრამ ეს მართალი არ არის. მეზობელ სახელმწიფოებთან მეგობრული განწყობილება გვაქვს, რაიმე საიდუმლო განზრახვა არა გვაქვს და ჩვენს პოლიტიკას აშკარად ვაწარმოებთ. რუმინიასთან საერთო ინტერესებმა დაგვაახლოვა, მაგრამ სამხედრო კონვენციის თაობაზე გავრცელებული ხმები სიმართლეს მოკლებულია, ასეთი კონვენცია არ არსებობს. სერბიასა და ბულგარიასთანაც საერთო ინტერესების გამო მეგობრული განწყობილება გვაქვს. საბერძნეთთან მეგობრად დარჩენა გვსურს და გვრწამს, რომ საბერძნეთი კრიტოსის საქმეში არ ჩაერევა. კრიტოსი ვერავის ვერ გარდაეცემა, რადგანაც სახელმწიფოებსა აქვთ ჩაბარებული, რომელნიც არავის არ დაანებებენ. სპარსეთი ოსმალეთის ძველი ძველი მეგობარია. სამზღვრებზე მომთაბარე თემები სცხოვრობენ, რომელნიც მუდამ არეულობასა და გაუგებრობას იწვევენ. იმათ დასამშვიდებლად, ჩვენმა ჯარმა რამდენიმე ოლქი დაიჭირა, ხოლო თუ გამოირკვა, რომ ეს ოლქები სპარსეთს ეკუთვნის, ოსმალეთი სპარსეთს დაუბრუნებსო.

რადიკალი რიზა-ტევფიკი პროგრამას ეხება და ამბობს: ჩვენი მთავრობა მთელის ევროპის თვალში გამასხარავებულია, მას არ მოეპოვება არც ლოგიკა და არც მოქმედების საძირკველი. მთავრობის აქეთ-იქით აწყდება, ხან კრიტოსის ხელში ჩაგდებას ეპოტინება, ხან სპარსეთის ადგილებს ეღლაუჭება.

— სიცრუეა!—აწყვეტინებს მას გარეშე საქმეთა მინისტრი.

ორატორი განაგრძობს: მთავრობა ხან ქლეტავს, ხან უყვავებს მეამბოხეებს, არსებითად კი, ისევე იქცევა, როგორც ძველ რეჟიმს დროს. დეპუტატებს უმიზეზოდ ატუსაღებს. დეპუტატი რიზანური ოთხს თვეს ციხეში სრულიად უმიზეზოდ იჯდა, ხოლო შემდეგ სამხედრო სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო. ასეთ სამინისტრო უკეთესს იზავს, თუ სამსახურიდან გადადგება (მარცხნივ ტაშის ცემა).

ბერძენი კოზმიდი და ბულგარელი პავლოვი მთავრობას ბრალსა სდებენ, რომ იგი მაკედონიის ქრისტიანებს მიუდგომლად არ ეძლევა, აღნიშნავენ ბერძნებისა და ბულგარელთა დევნასა და ქლეტას, დეპუტატ რიზანურის დაპატიმრების გამო გულისწყრომას აცხადებენ და კაბინეტის გადადგომასა თხოულობენ.

კამათი ორ შაბათისათვის გადასდეს.

რომი. დეპუტატთა პალატაში, ფინანსთა მინისტრმა, 1911—1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვის გამო სიტყვა სთქვა და აღნიშნა, გასავალი $51\frac{1}{2}$ მილიონით მეტი იქნებაო. სამხედრო საქმეებზე მომატებულია 19 მილიონი, საზღვაოსნოზე—11,500,000. ზედმეტი გასავალი—41 მილიონი, რის გამოც შემოსავლის ჯამს 10,500,000 მინისტრმა აღნიშნა. რომ სახელმწიფო ეკონომიურად წინ მიდის, რკინის გზის მრეწველობა ფართოვდება, იავოსნობის სიცოცხლეს ეტყობა, შემნახველ კარებში თანხა მატულობს.

მუკდენი. ჩინეთის მთავრობამ სამხრეთ მანჯურიის რკინის გზის მმართველობასთან ტელინ-ჩაილუნჩენის გზის გასაყვან მასალების თაობაზე მოლაპარაკება გამართა.

იაპონიის ელჩმა ფუშინიდან გირინის პროვინციაში შემოტანილ ქვა ნახშირზე ახალ ბაჟის დაწესებაზე პროტესტი განაცხადა.

ლონდონი. თუმცა უნიონისტების მოლოდინი მთლად არ გამართლდა, მაგრამ თუ არჩევნების საქმე ასე წავიდა, მთავრობას გადადგომა მოუხდება. ლიბერალები კმაყოფილნი არიან, რომ უნიონისტებმა მისმინგამში ნაკლები ხმა მიიღეს, ხოლო ლონდონში და მანჩესტერში—კვლავინდებურად, ქუჩებში, სიცივისა გამო, ჩვეულებრივი საარჩევნო გამოცოცხლება არ ეტყობა.

$2\frac{1}{2}$ საათამდე არჩეულია: 51 ლიბერალი, 62 უნიონისტი, 7 მუშათა პარტიისა, 5 ირლანდიელი; ლიბერალებმა 4 ადგილი შეიმატეს, უნიონისტებმა—7.

პარიზი. ჰავასის სააგენტო უარჰყოფს იმ ხმებს, ვითომც პეტერბურგში მყოფი საფრანგეთის ელჩი ლუი უკან გაეწვიოთ.

ფრიდრიხსგაფენი. ფრანგი კაპიტანი ლუკსი შეიპყრეს; მას ჯაშუშობას სწამებენ.

ბერლინი. ბრძანება გასცეს, რომ მფრინავებმა ციხე-სიმაგრეების თავზე და მათს გარშემო 10 კილომეტრის მანძილზე არ იფრინონ, თუ საამისოდ სამხედრო მთავრობის ნებართვა არა აქვთ.

ფრენა

რომი. ინჟინერი კამაროტა და საპიორი კასტელანი ბიპლანით დიდს სიმაღლეზე აფრინდნენ. ბიპლანი ჩამოვარდა. კამაროტა სულთმობრძავი საავადმყოფოში წაიყვანეს.

ტფილისი. რადგანაც ვასილიევს საფრენი გაუფუჭდა, განჯიდან ტფილისში გადაფრენა რამდენიმე დღით გადაიდო.

კავკავი. გაბერ ვლიესკი 400 ადლის სიმაღლეზე აფრინდა და 14 წუთს ჰაერში დაჰყო.

რუსეთი

პეტროპავლოსკი. (კამჩატკა). გუშინ უკანასკნელი საფოსტო გემი გაემგზავრა, რომელიც დარჩენილ თევზის წამოსაღებად დასავლეთის ნაპირას შეუვლის, თუმცა ნავოსნობა არსებითად შეწყდა, მაგრამ ნავთსადგური ყინულისაგან თავისუფალია. თბილი ამინდია, თოვლი ცოტაა.

ლანდვაროვო. რუდიშვაში 5 ნიღაბიანი ბოროტ გამზრახველი ხე-ტყის საწყობის პატრონის კუმელკის ოჯახს შეუცვივდა, ყველანი შეჰკრეს და 11 ათასი მანეთი გაიტაცეს.

პეტერბურგი. ლევ ლევის ძე ტოლსტოი, რომელიც ღვთის გმობისათვის პასუხის გებაში იყო მიცემული — როგორც განსვენებულ ტოლსტოის თხზულებათა გამომცემელი („ღმერთი ჭეშმარიტებაშია და არა ძალაში“, და „ბოროტების აღდგენა)“—ნაფიც მსაჯულთა მიერ გამართლებულ იქმნა.

პეტერბურგი. სათათბიროში არსებულმა, მართლმადიდებელ ეკლესიის კომისიამ მიიღო კანონ-პროექტი, რომ სასულიერო სასწავლებლებში მოსამსახურეთა ჯამაგირების მისამატებლად 232 ათასი მანეთი გადაიდოს, რომ იგინი ჯამაგირებში სამინისტროს უწყებაში მოსამსახურეთა გაუთანასწორონ.

სოხუმი. ქალაქის საბჭომ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას, რათა ახალ-სენაკ-ტუაპსეს შორის გზა გაიყვანონ.

ოლობოდსკოე. ოთხი შეიარაღებული კაცი ქაღალდის ქარხნის პატრონს პლატუნოვს მიუხდა, 3000 მანეთი წაართვეს და მიიმალნენ.

ასტრახანი. საბირჟო კომიტეტმა წყალდიდობის დროს დაღუპულ ნავოსანთა სასარგებლოდ 7 ათასი მანეთი შეკრიბა.

პეტერბურგი. ვოლგის შესართავთან დაღუპულ ნავოსანთა გამო შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარდგენილ უქვეშევრდომილეს მოხსენებაზე, ხელმწიფე იმპერატორმა 21 ნოემბერს წააწერა: „მოულოდნელ საჭიროებათა ფონდიდან მათ სასარგებლოდ 10 ათასი მანეთი გადაიდოს“.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **თავდგირიძის ჩამოხრჩობა.** გუშინ, 22 ნოემბერს, გათენებისას ტფილისში ჩამოახრჩეს შალვა პლატონის ძე თავდგირიძე, რომელსაც კავკასიის სამხედრო სასამართლომ 17 ნოემბერს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, მასწავლებელ ს. ტრიაიც მოკვლისათვის.

◆ **არჩევნების შედეგი ქუთაისში.** როგორც ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ქუთაისიდან დეპეშით გვაცნობებს, ქუთაისის ქალაქის მოურავად აურჩევიათ იაკ ფანცხავა, ხოლო მდივნად—დათიკ ავალიანი. ქალაქის გამგეობის წევრის არჩევა გადაუდვიათ იმ დრომდე, ვიდრე ქალაქის მოურავის არჩევნებს მთავრობა დაამტკიცებდეს.

◆ **გაზეთების დახურვა.** ტ დროებით გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, უკიდურეს მავნე მიმართულებისთვის, დაიკეტა ქართული გაზეთები „საქმე“ და „ახალი აზრი“.

◆ **სავალდებულო დადგენილებანი.** კავკასიის ნამესტნიკმა ახალი სავალდებულო დადგენილებანი გამოსცა გორისა, დუშეთისა, ბორჩალოსი, თელავისა, სიღნაღისა, თიანეთისა, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების მცხოვრებთათვის. ამ დადგენილებათა ძალით, აკრძალულია სიტყვით თუ წერით ხალხის საჯარო აღელვება და უწესოებათა მოხდენა და დემონსტრაციისათვის გამოწვევა. აკრძალულია აგრეთვე მოწონება და დადასტურება საზოგადო უწესოებისა, მღელვარებისა და იმ მოქმედებათა, რომელიც საზოგადოებრივ მშვიდობიანობას არღვევს. ამ დადგენილებათა დამრღვევთ დაჯარიმებენ 500 მანეთამდე, ან დაატუსაღებენ სამ თვემდე.

◆ **განთავისუფლება.** გუშინ, 22 ნოემბერს, მეტეხის ციხიდან თავდებით გაანთავისუფლეს შაქრო ბალანაშვილი, რომელსაც ადმინისტრაციამ დაავალა ორის კვირის განმავლობაში კავკასიის საზღვრების დატოვოს,

◆ **სამძიმრის დეპეშა.** ჩვენმა რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო:

ლევ. ტოლსტოის მეგობრები

(მოგონების ნაწყვეტი)

წინა წერილში ტოლსტოის შესახებ ინგლისში დაარსებულ ტოლსტოის მიმდევართა მიერ ახალშენზე ვსთქვი ორიოდე სიტყვა. იმ ხანებში ამ ახალშენის შესახებ ვრცელი წერილი დავბეჭდე ჟურნალ „სევ. ვესტნიკ“-ში (1898 წ.), და შარშან ამავ საგანზე საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულ“-შიაც მქონდა მოყვანილი რამდენიმე ცნობა. ახლა მინდა ვსთქვა ცოტა რამ მის ახლო მეგობართა შესახებ, რომელნიც დაახლოვებით გავიცანი ინგლისში ყოფნის დროს. ახალშენი დაარსდა სოფელ პერლი-კოკლასკში, ესექსის საგრაფოში. გარდა ფიზიკურად მომუშავეთა ახალშენის გარშემო თავი მოიყარეს და ჩამოსახლდნენ ისინი, ვინც თანაუგრძნობდა ტოლსტოის მოძღვრებას და იმგვარ სადა, მუშურ ცხოვრებას, რომელსაც ეწეოდნენ ახალშენელები. ინგლისელების გარდა (მოოდი, ტოლსტოის თხზულებათა მთარგმნელი, კენვორდი, მწერალი სოციალურ-ქრისტიანულ მიმართულებისა), აქ გაჩნდნენ რუსეებიც. ესენი იყვნენ ტოლსტოის უახლოესი მეგობრები და მოწაფეები რუსეთიდან გაძევებულნი და ძალა უნებურად ინგლისში გადმოხვეწილნი—ვლ. ჩერტკოვი, პავლე ბულანჟე, ბირიუკოვი და თავადი ხილკოვი. ყოველი მათგანი წვრილ-შვილის პატრონი იყო და დედა-ბუდიანად წამოსულიყვნენ რუსეთიდან. მიზეზი მათის გაძევებისა რუსეთიდან ის იყო, რომ ისინი აშკარად მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ იმ ხანებში მთავრობის მიერ დევნილ დუხობორებს, რომელნიც სცხოვრობდნენ ჩვენს სამშობლოში, ბორჩალოს მაზრაში.

დუხობორები აღიარებდნენ ქრისტეს მცნებას ისე, როგორც სახარებაში სწერია. სახარებაში კი სწერია: არა კაც ჰკალ. ქრისტემ დაჰგმო არა მარტო მკვლელობა, რაგინდ მიზნითაც ყოფილიყო იგი ჩადენილი, დაჰგმო აგრეთვე მტრობა და სიძულვილი და ჰქადაგებდა: შეიყვარე არა მარტო მოყვასი შენი, არამედ მტერიცაო. ასე სწერია სახარებაში. და დუხობორებმაც დაუჯერეს სახარებას და როდესაც ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ჯარში გაიწვია ისინი სამხედრო სამსახურის ასასრულებლად, დუხობორებმა უარი უთხრეს მთავრობას, ჯარში ვერ გავალთ, თოფებს ხელში ვერ ავიღებთ, მტერს ვერ ვეომებით, რადგან ქრისტიანი ხალხი ვართ, ქრისტემ კი სიყვარული გვამცნო და არა კაცის მკვლელობა და სისხლის ღვრაო. ადმინისტრაციას ეს პასუხი არ ესიამოვნა. აცნობეს ამბავი ცენტრალურ მთავრობას. იქიდან ბრძანება მოუვიდა ტფილისის გუბერნატორს, იმ ხანად თავად შერვაშიძეს, ძალით გამორეკე ეს ჯიუტი და უცნაური ხალხიო. შერვაშიძემაც მიუსია მშვიდობის მოყვარე ხალხს კაზაკთა რაზმები. მათრახებით ერეკებოდნენ. მაგრამ დუხობორებს გული არ გაუტყდათ, ეს ამოდენა ზღვა ხალხი ფსალმუნების გალობით მიგება მათრახების ტლაშა-ტლუშს. შეწუხებას და ტკივილს არ იმჩნევდნენ, მაღლა ცისაკენ იყურებოდნენ სასოებით, თითქოს შველას და ხსნას იქიდან მოელოდნენ და თითქოს მზად იყვნენ უარესი ტანჯვა აეტანათ ქრისტეს სჯულისათვისო. სასტიკად დასაჯეს. რაკი ვერას გახდა ადმინისტრაცია და ვერც მუქარით ვერ დაიყოლია დუხობორები, ჰაყარა ისინი თავიანთ სოფლებიდან. შრომით და ოფლით აშენებულ სახლ-კარს მოაშორა და გაჰფანტა საცხოვრებლად ქართლის სოფლებში. ჩვენი ხალხი, თუმცა თავადაც უჭირს და მძიმე ტვირთ ზიდვაშია, მეგობრულად შეხვდა დევნილ დუხობორებს და რითაც კი შეეძლო მუშაობით თუ სხვა დახმარებით ეხმარებოდა მათ. მაგრამ გაჭირვება დუხობორებისა მაინც დიდი იყო. თვალების და კუჭის ავადმყოფობა გახშირდა მათში და ბევრიც წუთი სოფელს გამოესალმა.

რუსეთის განათლებული ნაწილი დიდად იყო აღშფოთებული ყოველივე ამით. ყველანი, განურჩევლად იმისა, მორწმუნენი იყვნენ ისინი თუ ურწმუნონი, ჰკიცხავდნენ ამ სასტიკ პოლიტიკას. და თუ ფართო საზოგადოებაში ასეთი აღელვება იყო, ადვილად წარმოსადგენია, როგორ იყვნენ აღშფოთებულნი და შეწუხებულნი ისინი, ვინც დუხობორებსავით უარ-ჰყოფდნენ ძალმომრეობას და ვინც, ტოლსტოის და მის მიმდევრების მსგავსად, ქრისტეს სჯულს აღიარებდნენ ცხოვრების საფუძვლად. ტოლსტოი და მისი მეგობრები აგროვებდნენ ფულს დუხობორების დასახმარებლად. და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ გააძევეს რუსეთიდამ ჩერტკოვი, ბულანჟე, ბირიუკოვი, ხილკოვი და სხვანი. გაძევებულნი გაიხიზნენ ინგლისში. და აქ ინგლისში დაიწყეს აგიტაცია დუხობორების სასარგებლოდ. მათ უნდოდათ დუხობორების გადმოსახლება ინგლისის სამფლობელოში ამერიკაში, სახელდობრ—კანადაში. და ამ დიდ საქმის მოწყობას ანდომებდნენ თავიანთ ძალღონეს ინგლისში ყოფნის დროს. ადვილი საქმე არ იყო 12.000 ადამიანის გადასახლება შორეულ ქვეყნაში. მაგრამ დაუცხრომელმა ენერგიამ ყოველივე სძლია და დუხობორების გადასახლება ამერიკაში მოხერხდა.

როგორც ვსთქვით, რუსეთიდან გაძევებული ტოლსტოის მეგობრები ახალშენის გარშემო დასახლდნენ. აქ იმ ხანებში მეც მომიხდა ყოფნა და დაახლოვებით გავიცანი ყველანი. ფრიად საყურადღებო და საინტერესო ადამიანია ჩერტკოვი. არისტოკრატიულ პირობებში შობილი (იგი გენერალ-ადიუტანტის შვილია) კავალერ-გვარდიელი, ფულების მფლანგავი, მოქეიფე ოფიცერი ახალგაზრდობაში, იგი თანდათან ზურგს უბრუნებს უდარდელ და უსაქმო ცხოვრებას და სასარგებლო საზოგადო მოღვაწეობას ჰკიდებს ხელს. მან დაარსა მოსკოვში ცნობილი გამომცემლობა „პოსრედნიკი“, რომლის მიზანი იყო ხალხში გასაგებ და კარგ იაფასიან წიგნების გავრცელება. ტოლსტოის გაცნობის შემდეგ ჩერტკოვი საბოლოოდ სტოვებს თავის ძველ ცხოვრებას. მაშინ ღრმა სულიერი მუშაობა იწყება და ყოველი სოციალური საკითხი მის სინდისის საკითხად ხდება. სულიერი დრამა, რომელსაც განიცდიდა, მძიმე და მწვავე უნდა ყოფილიყო. ბევრჯელ მინახავს მისი სახე შეწუხებული, აღშფოთებული. ამ შემთხვევაში მას თითქოს ეკარგებოდა მუშაობის და მოქმედების უნარი. ჩვეულებრივად კი იგი ფრიად მომქმედი და ენერგიული ადამიანი იყო. უბრალოდ და სადად იცვამდა, სახამებლიან პერანგებს არ იკეთებდა. მიუხედავად ამისა ძლიერ წარმოსადეგი და ლამაზი ვაჟკაცი. განსაკუთრებით მას ამშვენებს დიდი შუბლი, უკან გადავარცხნილი თმები და ღრმად ჩასმული ენერგიული, ხოლო ამასთან სევდიანი თვალები. ძალიან ძნელია ფუფუნებაში აღზრდილ და დავაჟკაცებულ ადამიანისათვის სრულიად ახალ ცხოვრების დაწყება. მაგრამ ჩერტკოვი დიდი ნების პატრონია და მან სძლია ყოველივე, რაც ჰბორკავდა მის სულს და სჩაგრავდა სინიდისს. სძლია, მაგრამ, რამდენადაც დავაკვირდი, მისი გული საბოლოვოდ დამშვიდებული და დაწყნარებული არ იყო.

ბირიუკოვი უფრო სადა ადამიანია. ახალგაზრდობაში მეზღვაური—ოფიცერი, ეხლა იგი ბეჯითად მუშაობდა თავის პატარა ბოსტანში და ძლიერ კმაყოფილი იყო, რომ ბოლოკი და კარტოფილი იქვე კარის წინ ჰქონდა მიწაში. მაგრამ ფიზიკურ მუშაობასთან იგი წიგნს და გაზეთს არ ივიწყებდა. ერთ ხანაში, ჟენევაში ყოფნის დროს, ჟურნალსაც სცემდა. ბირიუკოვმა შეადგინა შემდეგში ტოლსტოის ვრცელი ბიოგრაფია ახალ მასალების მიხედვით (აუარებელი ცნობა თვით ტოლსტოიმ მიაწოდა). ბირიუკოვს ხასიათით არა ჰგავნდა პავლე ბულანჟე, რომელიც საკვირველად იზიდავდა ადამიანს თავისი გულწრფელობით და გულშემატკივრობით. ბულანჟეს მოსკოვის რკინის გზაზედ დიდი მოხელის თანამდებობა ეჭირა, მაგრამ ეს გარემოება დაბრკოლებად არ აღმოაჩნდა ადამიანურ მოვალეობის ასრულების დროს. მან შესწირა პირადი კეთილდღეობა იმ საქმეს, რომელსაც ემსახურებოდა და დიდი ოჯახის პატრონი თითქმის უსახსროთ იძულებული იყო განშორებოდა თავის სამშობლოს. პირველ ხანში ბულანჟე ასოთ-ამწყობის თანამდებობას ასრულებდა ახლად დაარსებულ ჩერტკოვის მიერ სტამბაში. ბულანჟეს კიდევ სრულიად არა ჰგავნდა თავადი ხილკოვი. რომ შეგეხედნათ რიაზანის გუბერნიის „მუჟიკიაო“ იტყოდით. გრძელი და განიერი წვერი სრულიად ჰფარავდა მის სახეს, ჩაცმითაც უფრო უბრალოდ ეცვა, ვიდრე სხვებს. ახალგაზრდობაში კი თავადი ხილკოვიც ბრწყინვალე ოფიცერი იყო და მსახურებდა ქუთაისში იმ ხანებში, როდესაც იქ პრინც ოლდენბურგი იყო. ბავშობაში მეც მინახავს იგი. ძალიან გავოცდი, როცა ნაზ, ქერა-თმიან, ლურჯ-თვალებიან ახალგაზრდა კაცის მაგიერ, როგორიც მახსოვდა იგი ბავშობაში, ჩემ წინ დავინახე დასრულებული, მხარბეჭიანი დიდის წვერით შემოსილი რუსის „მუჟიკი“. მაგრამ კაცის ძირითადი შეცვლა შეუძლებელია. და მართლაც, ლაპარაკის დროს ისევ იმ ახალგაზრდა თავადს გაგონებდით—გამოჰყვ

„პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა ჯგუფი თავის მწუხარებას უერთებს გლოვას ქართველობისას, რომელმაც დაჰკარგა გიორგი დეკანოზიშვილი, ეს საუკეთესო დამცველი ნაციონალურ ინტერესებისა. ნათელი ხატება ამ წინამძღვრისა არ ამოიშლება ჩვენ გულიდან“.

◆ **ფილოქსერასთან ბრძოლა.** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა დაადგინა, ქართულ და რუსულ ენებზე დაბეჭდოს მოწოდებანი მცხოვრებთა მიმართ. ამ ფურცლებში აღნიშნული იქნება ყველა ის ზომები, რომლის მიღებაც საჭიროა ფილოქსერასთან საბრძოლველად. ფურცლებს გააკრავენ კახეთის სოფლებში.

◆ **ქართული კონცერტი გორში.** ახალგაზრდა მომღერალს მიშა კავსაძეს განუზრახავს შაბათს, 27 ნოემბერს ქალაქ გორში ქართული კონცერტი გამართოს ფრიად საინტერესო პროგრამით. გარდა სიმღერებისა, რომელსაც მომღერალთ გუნდი იტყვის შესაფერ ტანისამოსში გამოწყობილი, წაკითხულ იქნება სხვა და სხვა ლექსი და საამდროვო სახუმარო კუპლეტები.

◆ **თავდასხმა.** სოფ. ქსოვრიში (დუშეთის მაზრა), 8 ნოემბერს საღამოს 8 საათზე, 8 შეიარაღებული კაცი (ამათგან ორი ტუსაღის ტანისამოსით მეტეხის ციხიდან გამოქცეულია), ჩულუაშვილი, (სოფ. მუხრანიდან), და ბერბიჭაშვილი, (სოფ. ახატანიდან), პეიქრიშვილი, (სოფ. ჰილურტიდან) და 5 სხვა, მიუცვივდნენ ნიკ. სოლომ. რატიევის მემკვიდრეებს და იარაღი მოსთხოვეს. ვახტ. ნიკ. რატიევი იარაღისაკენ გაექანა და უნდოდა მათთვის სროლა აეტეხნა. დამცემლებმა იფიქრეს, რომ სახლშიაც ბევრი ხალხია და წინააღმდეგობას გაგვიწევენო და გაიქცნენ. შემდეგ სოფ. თეზამში გლეხის დათვიჭამიას სახლს დაეცნენ. მაგრამ გლეხებმა ყაჩაღები მოიგერიეს. მცხეთის ბოქაული ჩაფრებით დაედევნა ყაჩაღებს.

◆ **უპასპორტონი.** პოლიციამ ტფილისში შეიპყრო: 20 ნოემბერს—80 უპასპორტო, ხოლო 21 ნოემბერს—536.

◆ როგორც თელავიდან გვატყობინებენ, 21 ნოემბერს ტყეში უპოვნიათ ტყის მცველის ყარამყაშვილის გვამი. ყარამყაშვილი უცნობთ მოუკლავთ ხანჯლებითა და ტყვიითა.

ერთი კულტურული საშუალება

ბევრს ნახავთ ჩვენში, მომეტებულად გლეხკაცობაში, რომელიც ისე დაიბადება, სიბერემდის მიაღწევს და ისე მოკვდება, რომ თავისი სოფლისა და რამდენიმე მახლობელ სოფლის გარდა არა უნახავს რა. ბევრს ნახავთ ჩვენში სოფლის მემამულეს, რომლებიც ნახევრად ინტელიგენტებად ითვლებიან, ნახავთ აგრეთვე ბევრს ინტელიგენტსაც, რომელსაც არ დაუვლია და არც ჰქონია სურვილი დაევლო სხვა და სხვა კუთხე თავისი სამშობლოისა. ქართლელს არ უნახავს კახეთი, კახელს—ქართლი და იმერეთი, იმერელს—აფხაზეთი, აფხაზს—სვანეთი და სხვა.

ბევრს კახეთი წარმოდგენილი აქვს როგორც შორეული, მიუწდომელი კუთხე, რომლის ნახვა სიზმარშიაც არ მოელანდება და, რა გასაკვირველია, რომ ჩვენ მარტო პროვინციალური პატრიოტები ვართ, რომ ჩვენი პატრიოტიზმი იწყება ჩვენი სოფლიდან და თავდება მახლობელ მთით, რომელიც ჰყოფს კახეთს ქართლიდან, ქართლს—იმერეთიდან და სხვა.

უცხოელი მოგზაური აღტაცებაშია ნანახით და გაგონილით, ის სიყვარულსა გრძნობს და შურით უცქერის საქართველოს, მოსწონს ბუნება, უკვირს მისი ერის დიდებული წარსული და მზად არის ის მეორე სამშობლოდ გაიხადოს. ჩვენ კი, გულგრილად ვუცქერით ჩვენს მიწა-წყალს და არ ვაქცევთ ყურადღებას ჩვენს ისტორიას.

გაიცანით თქვენი ფიზიონომია, ფიზიონომია ერისა, გაიცანით გეოგრაფიულად თქვენი ქვეყანა, შეისწავლეთ მისი ისტორია, ძველი კულტურა და თუ ის უცხოელი შურით შესცქერის თქვენს ქვეყანას, თქვენი გული უანგრო სიყვარულითა და სიამაყით აივსება. რა უნდა მოსთხოვოთ, როგორც ჩვენს გლეხს ისე ჩვენს მოზარდ თაობას, რომელმაც არა იცის რა თავისი ისტორიისა, არა იცის რა ისტორიულ გმირებისა, მეფეებისა, დიდებულ მწერლებისა და სხვა მის წარჩინებულ წინაპრების ყოფა-ცხოვრებისა და მათი ბუნებისა. სოფლელს, განსაკუთრებით გლეხს, არავითარი წარმოდგენა არა აქვს ყველა ამაზე

თუ ქართველს არ უნახავს სხვა და სხვა კუთხე თავისი სამშობლოსი, რომელიც რამდენიმე ასი ვერსით გაიზომება, საკვირველი არაა, რომ არ უნახავს მას არც უცხო ქვეყნები და არც შეუძლიან მას გადაიღოს იმაზე კულტურულ ადამიანის კულტურა და საზოგადოდ—ცხოვრების წინ სვლას ადევნოს თვალ-ყური. მას არ უნახავს უბრალო და იაფი საშუალებანი მიწის დამუშავებისა, არ უნახავს გაუმჯობესებული დამუშავება ხილისა და ვაზისა და გაუმჯობესებული იარაღები წარმოებისა და თუ არ უნახავს, რასაკვირველია, ვერც გადმოიღებდა მათ ხმარებასა.

საკმაო არაა,—ჩვენი მიწის მუშას უქადაგო თეორეტიულად უპირატესობა, მაგ., რკინის გუთნის ხმარებისა: იმას თვალით უნდა აჩვენო ეს გუთანი ხმარებაში, მიწის დამუშავებაში. სანამ იმერეთში არ გააკეთეს საქარის სანერგე ამერიკულ ვაზისა და თვალით არ დაანახვეს მთელ იმერეთს უპირატესობა ამ ვაზისა, არც ერთ იმერელს არ ჩაუყრია ეს ვაზი.

დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში თუ ადამიანს აჩვენებ მისივე მოძმე მეზობლის მიბაძვის ღირსს ნამოქმედარს, წინ-სვლას. ქართლელს თუ აჩვენებ კახელის მევენახეობას, კახელს ქართლელის მეხილეობას, ორივეს ამათ თუ უჩვენებთ მეგრელისა და გურულის მეაბრეშუმეობას, დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რომ უეჭველ გადაიღებენ ერთი-ერთმანეთისაგან გაუმჯობესებულ მუშაობის საშუალებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე აჩვენოთ თვალით ჩვენს გლეხს მუშათა ამხანაგობისა, საზოგადოდ კოოპერატიულ მუშაობის უპირატესობა და მნიშვნელობა.

რა საშუალებანი გვაქვს ჩვენ ამისთვის?

თითქმის არაფერი. ნაციონალური სკოლები ჩვენ არა გვაქვს, არა გვაქვს არც ისეთი დაწესებულებანი, რომელთაც შეუძლიანთ ხალხში კულტურის შეტანა და განვითარება, არა გვაქვს ჩვენ საცდელი მინდვრები, სანერგეები, საწარმოვო იარაღების საწყობები და ბევრი სხვა რამ, რაც სხვა ერებს უხვადა აქვს და კარგადაც სარგებლობენ თავიანთ საბედნიეროდ.

ყველა ამას დიდი ფული უნდა, ჩვენ კი ღარიბები ვართ; მაგრამ არის ერთი საშუალება, რომელიც რასაკვირველია სავსებით ვერ დაიჭერს ადგილს ნაციონალურ სკოლისას და სხვა კულტურულ დაწესებულებისას, მაგრამ მაინც შეუძლიან დიდი სარგებლობა მოუტანოს ჩვენ ხალხს როგორც გონებრივ, ისე ზნეობრივ და კულტურულ ზრდა-განვითარების საქმეში.

ეს საშუალებაა სინემატოგრაფი.

უდიდესმა გამოგონებამ, ედისსონისა შემდეგ გაუმჯობესებულმა ლუმიერის მიერ, სინემატოგრაფმა—მოძრაობის აღბეჭდვამ სხივ-ნართ ეკრანზე (**Свѣтовой экранъ**)—მთელი რევოლუცია მოახდინა სხივნართ გადაცემათა განვითარების საქმეში. თვით დიდებულმა ედისსონმა უწინასწარმეტყველა თავის გამოგონების უდიდესი კულტურული მომავალი.

სამწუხაროდ დღეს სინემატოგრაფი ისეთ ხალხის ხელშია ჩავარდნილი, რომელთა ერთად ერთი მიზანია გამდიდრება და ამიტომ ეს დიდებული საქმე ამ ჟამად გადაიქცა ექსპლოატაციისა და ჯიბის გასქელების იარაღად და გასაკვირველი არაა ზოგიერთების ეჭვი სინემატოგრაფის განსაკუთრებულ კულტურულ მნიშვნელობის შესახებ ჩვენ. მოღვაწეთა უყურადღებობა და გულ-გრილობა ამ კეთილ საქმისა. ამ გვარი აზრი შემცდარია და ცალმხრივი.

ყოველი კარგი საქმე ადამიანმა შეიძლება მოიხმაროს სხვის სასარგებლოდ და საზარალოდაც. იტალიაში მაგალითად გონებრივ და ეკონომიურ აღორძინების საქმეში სინემატოგრაფმა დიდი როლი ითამაშა, რადგან იქ ექსპლოატატორების გარდა ხალხის მეგობრებმაც მოჰკიდეს მას ხელი და ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენეს. გერმანიისა და სხვა ქვეყნებშიაც სინემატოგრაფი გამოიყენეს ხალხის განსავითარებლად, რადგან იქ დიდიხანია დაადგნენ იმ აზრს, რომ სინემოტოგრაფი მშვენიერი და უტყუარი ამხანაგი და მეგობარია ევროპიულ თანამედროვე სახალხო სკოლისა და სკოლის შემდეგ ხალხის განვითარების საქმეში იგი ყველგან მეორე საშუალებად ითვლება.

მართლაც, თუ სინემოტოგრაფი გვაძლევს ჩვენ საშუალებას პატარა ნაჭერ ტილოზე გადავიტანოთ მთელი ჩვენი ხილული ცხოვრება, როგორც ის მართლა ხდება, რატომ არ უნდა გამოიყენოს იგი ადამიანმა როგორც წინსვლის იდეის პროპაგანდის იარაღი?

ჩვენს გარდა ყველამაც გამოიყენა. ევროპაში ვერ ნახავთ, თურმე, ვერც ერთ კულტურულსა და განმანათლებელ საზოგადოებას, რომელიც სასარგებლოდ არ ხმარობდეს სინემატოგრაფს და არ სცდილობდეს, რაც შეიძლება მეტად გააფართოვოს და განავითაროს იგი.

ჩვენის აზრით ამ დიდი საქმის ინიციატივა და ხელმძღვანელობა უნდა იკისროს ჩვენმა ისტორიისა და ეტნოგრაფიის საზოგადოებამ. ეს პირდაპირ მისი მოვალეობაა და მთლად ეთანხმება იმ მიზანს, რასაც ეს საზოგადოება ემსახურება.

რომ ეს საქმე გაკეთდეს და კარგ ნიადაგზე დადგეს საჭიროა შემდეგი:

1) სინემატოგრაფის მასალები შერჩევით უნდა იქმნას გადაღებული

ჩვენი ბუნებისა და ცხოვრებიდან უნდა იქმნას გადაღებული: გეოგრაფიიდან, ეტნოგრაფიიდან, ეკონომიურ ცხოვრებიდან და სხვა. საჭიროა აგრეთვე სურათები ევროპის მიმდინარე კულტურულ ცხოვრებიდანაც.

2) უნდა დაიწეროს შესაფერი მოკლე და მარტივი ლექციები, რომლებიც უნდა წაემძღვაროს ყოველ ნაჩვენებ სურათს, ამისთვის უნდა შესდგეს ლექტორთა ჯგუფი.

3) უნდა მოეწყოს ორგანიზაცია ამ საქმის კარგად დასაყენებლად პროვინციაში.

საქმის განხორციელებას, ე. ი. სინემატოგრაფიის მოწყობას პირველ ხანებში დასჭირდება არა ნაკლებ 3000 მან.

1. სინემატოგრაფიის აპარატი	300	„
2. აპარატ. გასანათებელი მანქან.	100	„
3. გადაღებულ ლენტების დამზადება (სიგრძით 1000 მეტრი)	600	„
4. ფოტოგრაფს და მის თანაშემწეს სურათების გადაღებამდე ხუთი თვის განმავლობაში .	800	„
5. ჯამაგირები ორ ლექტორს წლიწადში	1200	„

სულ 3000 მან.

ამ ხარჯს არ უნდა მოერიდოს საზოგადოება, რადგან პროვინციებში მცირე ფასიც რომ დაედოს სინემატოგრაფის მნახველს, შემოსავალი იმდენი იქნება, რომ ხარჯს მთლად დაჰფარავს. არც ერთი ღარიბი გლეხი არ დაიშურებს შაურს და ორ შაურსაც, თუ იმას აჩვენებთ მისთვის სასარგებლოს და თანაც გასართობ სურათებს. იმავე დროს საზოგადოებას შეუძლიან თავისი სეანსები გამართოს დიდ ქალაქებშიაც, მაგ., ტფილისში, სადაც ფასი შეიძლება ერთი-ათად აიმატოს.

ერთის სიტყვით, სინემატოგრაფიის საქმის მოგვარება ჩვენში მარტო სასარგებლო კი არა, მოსაგები საქმეც არის; საჭიროა მხოლოდ ინიციატივა, საქმის სიყვარული და საქმის ხალხი და თუ ეს ასე იქნება, საქმის განსახორციელებლად ფულის შოვნაც ადვილია.

ქართველ ინტელიგენტთა ერთი ჯგუფი.

მოწერილი ამბები

ფოთი. საბჭოს 9 ნოემბრის მორიგი სხდომა მოხდა ქალაქის თავის მოადგილის ბ-ნ შეუნარგიას თავმჯდომარეობით. ამ სხდომაზე დიდი შესანიშნავი არა მომხდარა. გარდა იმისა, რომ მთელი 5 საათი საბჭომ მოხმარა უბრალო ლაყბობას. თუ ჩვენს ძველ საბჭოს ვხედავდით მუდამ მდუმარეს, სამაგიეროდ ახალში სულ წინააღმდეგს ვამჩნევთ. ახლა საბჭოში ბევრს ლაპარაკობენ, ბევრს მსჯელობენ, ორატორები ერთი მეორეს ეცილებიან და ბოლოს რა გამოდის?...

ის, რომ სხდომა თავდება მხოლოდ ლაპარაკში, უკეთ რომ ვსთქვათ, კინკლაობაში. აქ უფრო ორატორობის ჟინიანობით შეპყრობილებს ვხედავთ, ვინემ მოსაქმეებს. ადვილად ფიქრობენ, ბევრის ლაპარაკით თავი ისახელონ, მაგრამ სამწუხაროდ უფრო თავს იმცირებენ. ბევრი ასეთი მაგალითი იყო თვით ზემო აღნიშნულ სხდომაზედაც. ამ სხდომაზე გასარჩევ საკითხებში სხვათა შორის იყო ფოთის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის მოწერილობა, რომ მიიღოს ქალაქმა მონაწილეობა ხსენებულ სასწავლებელთან არსებულ სახელოსნო სკოლის მოწყობაში.

გამგეობის აზრით ქალაქის მთელ შემოსავლის 50 პროცენტზე მეტი სასწავლებლებს ხმარდება. სასურველია ამ სკოლასაც დავეხმაროთ, მაგრამ ეხლა კასა ცარიელია და თუ რამე წყაროს აღმოაჩენთ, საწინააღმდეგო არაფერი გვაქვსო. საკმარისი იყო ასეთი განცხადება, რომ ხმოსანი ჟვანია [illegible] გადასულიყო. როგორ თუ ჩვენ კიდევ ფულს გვთხოვენ სკოლისთვის, როდესაც მთელ შემოსავლის ნახევარი ასეთებზე იხარჯება. უკეთესია ჩვენის ჯიბიდან ამოვიღოთ და მივსცეთ შემწეობა, ვინემ ქალაქის კასიდანაო. ბ. ჟვანია ერთი ფოთელი მდიდართაგანია, რომელიც ერთად-ერთ ბავშვს ზრდის სასწავლებელში და იმისთვისაც კი თურმე თხოვნას-თხოვნაზე აძლევს, რომ განთავისუფლონ სწავლის ფულისაგან. და ასეთი ადამიანი ჯიბიდან ამოიღებს ფულს სხვის დასახმარებლად?... ამაზე ბ. დამბაროვმა კიდეც შენიშნა სამართლიანად: ჯიბეზე რომ საქმე მიდგეს ბ. ჟვანია პირველი იტყვის უარს; ვინემ სხვაო. ლაპარაკის ჟინიანობით არის შეპყრობილი აგრეთვე ხმოსანი გვალია. მან ბევრი ილაპარაკა აღნიშნულ საკითხის გარჩევის დროს, მაგრამ ისე უთავბოლოდ, გარეშე მაყურებლებმა კი არა, თავმჯდომარემაც ვერ გაიგო, თუ რა აზრი გამოსთქვა, რისთვისაც თარჯიმანიც კი მოსთხოვა. აგრეთვე ლაპარაკის თავი აქვს ხმოსან დამბაროვსაც, რომელიც ყოვლისფერზე გულ-უხვი და ხელ გაშლილია. მაგრამ... საბჭოს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხმოსანი ჭოჭუა, რომელიც წარმოადგენს საბჭოს „ცენტრს“. ბ. ჭოჭუა ცნობილია საბჭოში, როგორც ორატორი. ის ვალდებულად სთვლის თავს, ყველა ორატორს სათითაოდ გასცეს პასუხი. ეს ორატორი ზედ მიწევნით ოხუნჯია, თავის „მოსწრებულ“ სიტყვებით ართობს უმეტეს ნაწილს ხმოსნებისას, რომლებიც მთქნარების მეტს არას აკეთებენ. ნათქვამია „ზოგი ჭირი მარგებელიაო“...

მართალია, საბჭოში არის ორ-სამი ხმოსანი, რომლებიც მართლაც საქმეზე მსჯელობენ, მაგრამ ეს ხმა ქვეშაა

ფიქრის თუ აზრის გამოთქმის თუ გამოსახვის ძველი მანერა.

ყველა ამათ, როგორც ვსთქვი, ცოლ-შვილი ჰყავდათ. ამიტომ ახალშენის გარშემო მყოფი საზოგადოების რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა. იყო კიდევ ერთი რუსი, სახელად ევგენი. მაგრამ ეს რუსი ახალშენში მუშაობდა. ჩუმი და ჩაფიქრებული კაცი იყო. არავის ეკარებოდა თავის თავად. მუშაობით კი კარგად მუშაობდა. თუ არ დაელაპარაკეთ, გინდ ერთ წელიწადს ხმას არავის გასცემდა. მაგრამ ხმა თუ გაეცით და როგორმე სალაპარაკოთ წაახალისეთ, თქვენი მტერი რომ აუბდღებოდა ხოლმე ისე, რომ იმისი გაჩერება შეუძლებელი იყო. თითქოს დაგუბებული ჰქონდა აზრი და გრძნობა, სიტყვას ვერ ასწრობდა, ეძნელებოდა გამოთქმა, იტანჯებოდა და მსმენელსაც სტანჯავდა. „Той... тай... э, э, э, тай, э, э, э ქშენით და ოფლის წურწურით ლუღლუღებდა. ბოლოს კარგახნის წვალების შემდეგ ერთბაშად გაჩუმდებოდა, უცნაურად შემოგხედავდათ და ისევ, თითქოს საუკუნოდ დადუმებული, მიწის თხრას შეუდგებოდა.

ჩერტკოვის ოჯახში გავიცანი კიდევ ერთი საინტერესო ადამიანი, ექიმი შკარვანი, ავსტრიელი ქვეშევრდომი, ეროვნებით სლოვაკი (სამხრეთ სლავიანელი). შკარვანი სამხედრო ექიმი იყო და მსახურებდა ერთს პოლკში ავსტრიაში. ტოლსტოის თხზულებათა კითხვის გამო მას გულში ეჭვი აღეძრა იმის შესახებ, რომ მისი ხელობა სამხედრო ექიმისა კარგი ხელობა არ არის. მართალია, მიამბობდა შკარვანი თავის სულის კვეთებას, ექიმი ვიყავი, ვეხმარებოდი ავადმყოფებს, მაგრამ ამასთან ვიყავი სამხედრო ექიმი, ე. ი. მეც ჩემის შრომით, ცოდნით და გარჯით ხელს ვუწყობდი და ვამაგრებდი იმ სამხედრო სისტემას, რომელიც კაცის მკვლელთა ორგანიზაციათა მეჩვენებოდა და რომელიც მძულდა. მე ამ სისტემის ერთ ერთი რგოლი ვიყავი და ჩემსა და ჯარის-კაცს შორის არავითარი განსხვავება არ უნდა ყოფილიყო. გადავწყვიტე სამსახურისთვის თავი დამენებებია. ვადის შესრულებამდე ორი კვირა ღა მიკლდა. ამ ორი კვირის შემდეგ შემეძლო თავისუფალ ადამიანად გავმხდარვიყავი. ხოლო ვადის გათავებამდე კი წასვლის უფლება არა მქონდა. მე კი ისე მოუსვენრად ვგრძნობდი ჩემ თავსა, ისეთის ძლიერებით მომაწვა სევდა და სურვილი განთავისუფლებისა, რომ არ ვიცოდი, როგორ შევძლებდი და კიდევ ორ კვირას, როგორ დავრჩებოდი პოლკში. რამდენიმე წელიწადი მიმსახურნია, უკმაყოფილო ვიყავი, მაგრამ ამ ჟამად კი ჩემს უკმაყოფილებას ისეთი სიმწვავე მიეცა, რომ მე ველარ ავიტანე და გამოუცხადე ჩემს უფროსებს, რომ სამსახური აღარ შემიძლიან, სამხედრო სისტემის გამტკიცებას ხელს ვერ შეუწყობ და რომ თუმცა ორი კვირა-ღა მიკლია ვადის გათავებამდე, მაგრამ ვერც ერთ დღეს დავრჩები სამსახურში მეთქი. ძალიან გაუკვირდათ, ბევრი მელაპარაკეს და, აშკარაა, გიჟადა მთვლიდნენ. რაკი ჩემსას აღარ ვიშლიდი, დამატუსაღეს, ხოლო საავადმყოფოში დამამწყვდიეს. ექიმები ისე მიყურებდნენ, როგორც ჭკუით შეშლილს. მაგრამ ბოლოს დარწმუნდნენ, რომ ჭკუით სალი ვიყავი და ამიტომ საავადმყოფოდან ციხეში გადამიყვანეს, სადაც ცხრა თვე დავყავი. რომ განმათავისუფლეს რუსეთში გავსწიე. გავიცანი ტოლსტოი, ჩერტკოვი და სხვანი და აი ეხლა ჩერტკოვებს აქ ინგლისში გამოვყევიო.

მართლაც ამ მხრივ საკვირველია ადამიანის ბუნება. ხშირად წლობით ითმენს დამცირებას, წლობით სცხოვრობს თავის სინიდისის, აზრის და რწმენის წინააღმდეგ. ბოლოს, თითქოს უეცრად, მოულოდნელად, ერთ მშვენიერ დღეს მის გულში მომწიფდება რაღაც ახალი ძალა და ამ ძალას იგი წინ ველარ აღუდგება, თან გაჰყვება, დაიღუპება, ან მიაღწევს თავის გულისთქმას. ეს უცნაურად მომწიფებული სინიდისის გადაწყვეტილება ხან და ხან, თანდათანობით მწიფდება ადამიანის გულში, და დამწიფების ჟამს ერთბაშად ამოხეთქავს, გამომჟღავნდება როგორც ეს შკარვანმა გამოსცადა. მაგრამ ისედაც მოხდება ხოლმე, რომ ახალს გადაწყვეტილებას, ახალის გზით სიარულის სურვილს იწვევს და ჰბადავს რაიმე უცაბედი შემთხვევა, მოულოდნელი და შესაზარი სანახავის დანახვა და ამგვარი რამ. ასე მოუვიდა თავად ხილკოვს, როგორც გვიამბო მან ახალშენთა ერთ-ერთ კვირეულ მიტინგზე. სულ ახალგაზრდა კაცი ვიყავი რუს-ოსმალოს ომში რომ გამიწვიეს, ამბობდა ხილკოვი. კაზაკთა პოლკში აფიცრად ვიყავი. სიცოცხლე სდუღდა ჩემში და სრულიად არა მქონდა იმისი გრძნობა და შეგნება, რომ ომი ცუდი რამეა და რომ მე ამ ცუდ საქმეს ვემსახურები. ერთხელ ოსმალებთან შეტაკების დროს ისე მოხდა როგორღაც, რომ მე ჩემიანებს დავშორდი, განზე მოვექეცი და ჩემს პირდაპირ მრისხანე ოსმალოს ჯარის კაცის პირისახე დავინახე. ეს ჯარის კაციც დაშორდა თავისიანებს და ჩემს ახლოს რომ გაჩნდა, თოფი დამიმიზნა. მაგრამ მე ცხენი ვატაკე და სანამ თოფი გავარდებოდა, გაშიშვლებული ხმალი ძლიერად გავაქნიე და ჩემდა განსაცვიფრებლად დავინახე, რომ ოსმალოს თავი მოვაკვეთე. შევჭერდი გაშტერებული. თავ-მოგდებული ოსმალო ისევ ფეხზე იდგა და მის კისრიდან შადრევანივით გადმოსჩქეფდა სისხლი. თოფიც ჰქონდა აშვერილი. რამდენიმე წამს ასე იდგა და მერე უკან გადაიქცა. თავი კი ჩემ ცხენის ფეხებთან ეგდო. დავაკვირდი და თვალს ვერ ვაშორებდი. ისევ მრისხანედ მიყურებდა, ხოლო თვალებში რაღაც შიში თუ მუდარა გამოსჭვრეთდა. განვშორდი და და ეს იყო და ეს. ამ ამბის შემდეგ ჩემს გულს მყუდროება დაეკარგა და აქედამ იწყება ჩემი სულიერ ცხოვრების მოძრაობაო. ასე დააბოლოვა ხილკოვმა. უნდა დავუმატო, რომ უკანასკნელ წლებში, რევოლუციის დროს, ხილკოვი ტოლსტოის მიმდევრად აღარ რჩება და გადადის ესერების პარტიაში.

ერთის სიტყვით, საყურადღებო ხალხი შეიკრიბა ინგლისის ერთ-ერთ მიყრუებულ ადგილში. ყველას თავისი საქმე ჰქონდა. ახალშენელები მიწაზე მუშაობდნენ. მისტერ მოოდი, მოსკოვიდამ უკან ინგლისში წამოსული, იმ ხანებში ცოლის დახმარებით სთარგმნიდა ტოლსტოის ახალ რომანს „აღდგომას“, რომელიც ეს იყო გამოუგზავნა ტოლსტოიმ ჩერტკოვს საზღვარ-გარედ გამოსაცემად. ჩერტკოვმა იქვე სტამბა მოაწყო, ბეჭდავდა ბროშურებს დუხობორების შესახებ, ბეჭდავდა აგრეთვე ტოლსტოის ახალ ნაწერებს. „აღდგომის“ რუსული დედანიც მისის ხელმძღვანელობით დაიბეჭდა საზღვარ-გარედ. „აღდგომიდამ“ შემოსული ფული დუხობორების გადმოსახლების საქმეს უნდა მოხმარებოდა. ტოლსტოი ყოველ თავის ახალ ნაწერს ჩერტკოვს უგზავნიდა, ამიტომ ჩერტკოვს მდიდარი მასალა ჰქონდა შეგროვილი ტოლსტოის დაუბეჭდავ ნაწერებისა. (მიწერ-მოწერა, დღიური და სხვა). ამავე დროს ჩერტკოვი სცემდა ჟურნალს, სახელად „სვობოდნოე სლოვო“, რომელიც განსაკუთრებით სექტანტების ცხოვრებას აღევნებდა თვალ-ყურს და გულმოდგინედ იცავდა რელიგიოზურ თავისუფლების პრინციპს.

როგორცა ვსთქვით, ტოლსტოის და მის მიმდევრებს რუსეთსა თუ ინგლისში დუხობორების სვე-ბედი აწუხებდა და აი სწორედ მაშინ, როდესაც ეს ერთი რწმენის ხალხი ერთმანეთს დაუახლოვდა და ერთად იწყეს ცხოვრება, მომზადდა და განხორციელდა 12,000 ადამიანის გადმოსახლება ჯერ კუნძულ კიპროსზე, ხოლო მერე, საბოლოოდ, კანადაში.

არჩილ ჯორჯაძე.

ზღვაში!.. უკაცრავად მკითხველთან, რომ საკითხს გადავსცდი. ამ გვარად როგორც იქმნა, ზემო აღნიშნულ სკოლის საკითხი მოახერხეს. ბევრის ვაი-უშველებლის შემდეგ საბჭომ აღუთქვა 500 მანეთით დახმარება ისეთ სკოლას, სადაც საზოგადოდ ხალხის ღარიბ ნაწილის შვილები იზრდებიან. გულ შემატკივრობაც ასეთი უნდა...

უნდა აღვნიშნოთ მეტის-მეტი ლმობიერება თავმჯდომარისა „ორატორების“ მიმართ. ბევრი ასეთი „თავისუფლებაც“ აფუჭებს ხანდისხან საქმეს. ამ კინკლაობაში ღამის 12 საათმა მოატანა და სხდომაც გადაიდო...

გაგრძელდება სხდომისა მოხდა 11 ნოემბერს, რომელიც გახსნა ბ-მა მეუნარგიამ შემდეგის სიტყვებით:

„ბ ნო ხმოსნებო, შევუერთოთ ჩვენი გულითადი მწუხარება მთელ რუსის ხალხის დიდ მწუხარებას—რუსეთის ქვეყნის უდიდეს ხელოვანისა და გენიოს მოაზრის გრაფ ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის გარდაცვალების გამო და ფეხზე ადგომით ვსცეთ პატივი უკვდავ მწერლის ხსოვნას.“

ყველანი სდგებიან...

შემდეგ ამისა ხმოსანმა გაბუნიამ, რომელსაც მხარი დაუჭირეს ხმოსნებმა გვალიამ და ესაკიამ, შეიტანა წინადადება, რომ ლ. ნ. ტოლსტოის პატივსაცემლად შესწყვიტონ სხდომა, ქალაქის ერთ ერთ ქუჩას დაარქვას ტოლსტოის ქუჩა და გაუგზავნოს განსვენებულის მეუღლეს სამძიმარის დეპეშა.

საბჭომ ეს წინადადება მიიღო და სხდომა შესწყდა.

გრაფინია სოფია ანდრიას ასულ ტოლსტოისას გაეგზავნა ტულაში შემდეგი დეპეშა.

„ფოთის ქალაქის საბჭომ სცა პატივი ლევ. ნიკოლოზის ძის ხსოვნას ფეხზე ადგომითა და სხდომის შეწყვეტით, და გიცხადებს თქვენ და მთელ რუსეთს უღრმეს თანაგრძნობას ასეთი ფრიად სამწუხარო და დანაკარგის გამო“.

დეპეშას ხელს აწერს ქალაქის თავის მოადგილე ბ-ნი მეუნარგია. ამ მეორე სხდომაზე მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო პირველზე...

ამავე სხდომის გაგრძელება მოხდა 16 ნოემბერს, განსახილველი იყო 1910 წლის დამატებითი შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც გამოიწვია ახალმა საფუთო გადასახადმა. დიდი კამათი გამოიწვია ამ საკითხმა. ბევრი იმსჯელეს, ბევრი იოხუნჯეს, ბევრი უტრაბეს, მაგრამ ვერ გადასწყვიტეს და ვერა, თუ რას მოხმარდეს ქალაქის სასარგებლოდ საფუთო გადასახადის 1/6 კაპ. შემდგარი თანხა. ვინ ქუჩების გაკეთების აძლევდა უპირატესობას, ვინ ქალაქის განათებას, ვინ წყლის გასაყვან მილის გაუმჯობესებას და ვინ კიდევ რას. ბევრის უნაყოფო ლაპარაკის შემდეგ საკითხი-საკითხად დარჩა და გადაიდო შემდეგ სხდომისათვის, სადაც იგი უნდა განხილულ იქმნას საერთო ხარჯთაღრიცხვასთან ერთად. კიდევ რამოდენიმე წვრილმან საქმის გარჩევის შემდეგ სხდომა დასრულდა.

ასე, ამ გვარად მიმდინარეობს ჯერჯერობით საბჭოს საქმეები.

ნუმეზიდა.

—

დაბა ყვირილა. დიდი ხანია, რაც ჩვენს დაბა ზესტაფონზე არაფერი არ დაწერილა. თუმცა ბოლო დროს რამოდენიმე წერილი მოთავსებული იყო ტფილისის რუსულ გაზეთებში, მაგრამ ის წერილები არ გახლდათ იმ მკითხველებისთვის მოსაწვდომი, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებენ ქართულ გაზეთებში ჩვენის ერის ცხოვრებასა და საქმის ვითარებას, მხოლოდ ქართულ ნაწერებით. აკმაყოფილებენ თავის ყოველ დღიურ სურვილებს. ამისათვის მე მსურს ამ წერილით შევეხო ჩვენს დაბა ზესტაფონს; და ცოტა რომ ვაუწყო მკითხველებს აქაურ ჭირვარამზე.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს დაბაში არის ქ. შ. წ. გ. ს. სამკითხველო. რომელიც ამ ხანად განიცდის ყოვლის მხრით დიდს გაჭირვებას. მიზეზი ის არის, რომ გულ-შემატკივარნი ძლიერ ცოტანი ჰყავს. ამას წინად გამგეობამ მოიწვია კრება, მაგრამ საუბედუროდ კრებაზე ძალიან ცოტა დაესწრო. ბევრი რამ ილაპარაკეს როგორც სამკითხველოს, ისე საკვირაო სასწავლებლის შესახებ. ამათთანავე ხომ სჯა-ბაასიც რუსულ ენაზედ იყო. სამკითხველოს მრავალ-ნაკლთ დაწვრილებით შემდეგში აღვნიშნავ. ამ ჟამად მხოლოდ მოვაგონებ ქ-ნ გამგეს, რომ სამკითხველო კულტურული დაწესებულებაა და არა სალაზღანდარო დარბაზი.

რაც შეეხება აქაურ სწავლა განათლების საქმეს, აქ არის რამოდენიმე სასწავლებელი, მაგალითად საქალაქო, ორი ქალთა პროგიმნაზია ერთი რკინიგზისა, ერთი ნორმალურ სასწავლებელი და სხვ. არც ერთ აქაურ სასწავლებელში ქართულს არ ასწავლიან. ბევრმა მასწავლებელმაც არ იცის ქართული წერა კითხვა. საზოგადოება გულ-ცივად უყურებს ამ მოვლენას და ვინ იცის, ეგ წესი როდემდის გასტანს. სასურველია, აქაურმა მამებმა ყურადღება მიაქციონ ამ მოვლენასა და მოითხოვონ ქართულ ენის სწავლების შემოღება; და იმედია მასწავლებლებიც დაუჭერენ მხარს ამ მოთხოვნილებას.

როგორც სხვა დაბებს, ისე ჩვენს ზესტაფონსაც ჰყავს ბევრი ინტელიგენტი, რომელიც ყოველსავე საზოგადო დაწესებულებას გაურბის, სადაც გულ შემატკივრობა საჭიროა. კერძოდ აქაურ ქალ ვაჟ მასწავლებლებს ეტყობათ გან საკუთრებით საზოგადო საქმეებისადმი გულცივობა იმ დროს, როდესაც საზოგადოება ამ პირებისაგან მოელის დახმარებას. ღირს-საყურადღებოა, რომ ესენი ქართულად ლაპარაკს არც კი კადრულობენ. დრო არის, ბატონებო, სხვა ერებს მაინც წაჰბაძოთ და მათგან მაგალითი აიღოთ. ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენ მეტი ნაწილი ცხოვრებაში ქართველ ერთან გაქვთ დამოკიდებულება, და სირცხვილად ნუ მიგაჩნიათ ამ ერის ენაზე ლაპარაკი და სჯა-ბაასი.

პატარა ხანში ზესტაფონს გაანათებენ ელექტრონით. ბატონ ბოლქვაძეს, რომელიც ამას კისრულობს, უკვე მაზრის უფროსთან ჰქონდა მოლაპარაკება და მაზრის უფროსიც თავის მხრივ შეჰპირდა ყოველსავე დახმარებას. ცხადია ელექტრონის აუცილებელი საჭიროება ჩვენის დაბისათვის ბატონი ბოლქვაძე მუშაობას უკვე შეუდგა,

აქ ახლო-მახლო მდებარე სოფლებში და საერთოდ მთელ შორაპნის მაზრაში წელს ძალიან კარგი მოსავალი იყო, ნამეტნავად ღვინისა. ხალხი წრეგანდელ ჭირნახულით ფრიად კმაყოფილია. ბევრნი ჩამოდიან სხვა და სხვა მხრიდან, აგრეთვე რუსეთიდანაც, აქაურ ღვინის შესასყიდად. ქართველი

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. კვირას, 21 ნოემბერს, ქართული დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ, ქ-ნ ნინო ჩხეიძისა და ვლ. ალ.—მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქმნა „ღალატი“.

„ღალატი“ ბევრჯელ გვინახავს, როგორც ქართულს, ისე რუსულს სცენებზე, მაგრამ ასე ხელოვნურად და ერთსულოვნად წარმოდგენილი კი არასოდეს არ გვინახავს. ერთი სიყალბე არსად შეგვიმჩნევია. ყველა კარგად თამაშობდა, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო. ჩვეულებრივად კარგი იყო ნინო ჩხეიძე ზეინაბის როლში. განსაკუთრებულის ტემპერამენტით ჩაატარა მეხუთე მოქმედება. ბ-ნი ვ. გუნია ოთარ-ბეგის ჩვეულებრივი და კარგი აღმასრულებელიცაა, მაგრამ კვირის წარმოდგენაში თითქოს რაღაც უგულობას ვამჩნევდით. ჩვეულებრივათვე კარგი იყო ბ-ნი ალ.—მესხიშვილი სულეიმან-ხანის როლში. ბ-ნმა მესხიშვილმა განსაკუთრებით იმით მოახდინა კარგი შთაბეჭდილება, რომ სოლეიმან-ხანის სიმკაცრის გამოხატვაში ზომიერება იხმარა. ამასთანა სადა, არა-მყვირალა შესრულებამ, გაცილებით უფრო კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. სხვა მოთამაშენიც ანსამბლს ხელს უწყობდნენ. არც ერთმა შემსრულებელთაგანმა საქმეს არ უღალატა და ამით საერთო ჰარმონიაში დისონანსი არ შეიტანა.

არ შეგვიძლიან მხოლოდ არ აღვნიშნოთ ქ-ნი ა. პიერეტა, რუქაიას როლი საკმაოდ ძნელი როლია ახალგაზდა მსახიობისთვის, მაგრამ ქ-ნმა პიერეტამ საზოგადოება არ გააწბილა და ჩინებულად ჩაატარა თავისი როლი. კვირის წარმოდგენამ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ ქ-ნ პიერეტას სასცენო ნიჭი აქვს და, თუ მუშაობას არ მოუკლო, მალე საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენს სცენაზე. მშვენიერი, გარკვეული გამოთქმა სიტყვებისა და ამასთანავე საკმაოდ ძლიერი ტემპერამენტი—საუკეთესო თავმდებია ამ წინმსვლელობისა.

ხალხი წარმოდგენას ძალიან ბევრი დაესწრო, უბილეთობისა გამო ერთი იმოდენა კიდევ სახლში დაბრუნდა. ქ-ნ ნინო ჩხეიძეს ძვირფასი თაიგული მიართვეს. Nomo.

წერილი რედ. მიმართ

პასუხის პასუხი „მეზობელს“ *)

ძნელია, გაზეთის საშუალებით, ისეთ კაცთან კამათი, რომელსაც თავისი „სიმტყუნე“ ყოველთვის „სიმართლედ“ გამოაქვს და სხვისი „სიმართლე“ კი—„სიმტყუნედ“ მკითხველთა წინაშე. სწორედ ასეთი თვისება გამოაჩინა ბ. მეზობელმა. ლანჩხუთ-შუხუთს შუა ჩამოვარდნილ უთანხმოების საქმეში. ამ უთანხმოების შესახებ მას ერთი წერილიც კი არ დაუწერია ისეთი, რომელშიაც რაიმე დაუმსახურებელი ბრალდება არ მოეხვიოს ჩემთვის თავზე და თან ერთი თუ ორი უბილო ოხუნჯობაც ზედ არ მოეყოლებინოს!... თუ „მეზობელი“ ამით ჩემს დამცირებას ფიქრობს, სცდება: ასეთი შეუფერებელი საქციელი მას უფრო არცხვენს, ვიდრე მე. და თუ ამ სირცხვილს მაგრე რიგად ჯერ არა გრძნობს,—ეს იმიტომ, რომ მას თავისა ალბად არ ერიდება და სხვები კი ვერა ხედავენ; რადგან ის ფსევდონიმის უკან ბრძანდება ამოფარებული, ვსწუხვარ, რომ მეზობლის უსაფუძვლო იერიშები იძულებულს მხდიან ზოგიერთ რამეებზე პასუხი გავსცე მას და მით მკითხველ საზოგადოებას თავი მოვაწყინო; მაგრამ რა გაეწყობა... სხვა გზა არ არის. ამ გვარ იერიშებისა და პოლემიკის თავიდან ასაცილებლად მე ამ სამი-ოთხი თვის წინად, სამედიატორო სამართალს მივმართე; მაგრამ მეზობელმა თანხმობის გამოცხადების მაგივრად ახალ სიცრუითა და ბრალდებებით აჭრელებული „განმარტება“ მომიძღვნა. აი, რასა სწერს იგი ამ თავის „განმარტებაში“ (იხ. ჩვენი გაზ. № 55): „ღლაბერი სტყუოდა და თვითონ წყრებოდაო, სწორედ ასეა თქვენი საქმეო“. ე. ი. მის ბრძნულის ჭკუით, ვითომც მე ვსტყუი და მევე ვწყრები! ნამდვილად კი ერთიც მტკნარი სიცრუეა და მეორეც, რაშიაც (თუ მეზობელი გამოგყვება) მედიატორებიც ადვილად დარწმუნდებიან. — „საკამათოდ პირველად თქვენ გამომიწვიეთო“, გვწერს იგივე!—ეს კი პირდაპირ ცილის-წამებაა: ბ. მეზობელი მე, თავის წინანდელ საპასუხო წერილში, ერთის სიტყვითაც კი არ მიხსენებია. ან რად მჭიროდა მე მისი ხსენება, როცა მასთან არავითარი საქმე არა მქონია?! ჩემი წინანდელი საპასუხო წერილები გამოწვეული იყო იმ უმართებულო წერილებით, რომლებიც დაიბეჭდა — ლანჩხუთის წინააღმდეგ— „პეტ. იზვესტ.“ და „ტიფ. ლისტოკ“-ში. ამნაირად, ჩემი წერილები უმართებულო იერიშების მოსაგერებლად იყო დაწერილი და არა ბ. მეზობლის საკამათოდ გამოსაწვევად! ჩვენმა მიუდგომელმა „მეზობელმა“ ხსენებული უმართებულო იერიშები განზე დასტოვა (შეუმჩნევლად!) სამაგიეროდ ჩემს საპასუხო წერილზე-კი თავისი გაუთავებელი (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ) კამათი აგო! ყველა ამისდა მიუხედავად დღეს გამოსულა და მართალივით გაიძახის: „საკამათოდ პირველად თქვენ გამომიწვიეთო!“ მეზობელი ამითაც არ კმაყოფილდება და გვწერს: „ჩიხში რომ შეგდენით და გასაქანი გზა აღარსად დაგირჩათ, სამართალში მიწვევთ. რად დაგჭირდათ სამართალი? განა უსამართლოდ ასეთ მარტივ საქმის გაზეთის საშუალებით გამორკვევა არ შეიძლებოდა? მაგრამ ეს სამართალი, ბ. ართმელაძევ, თქვენთვის უკანასკნელი ხავსიაო“ და სხ...—ახლა ერთი გვიბრძანეთ, ღვთის გულისათვის: რითი შეიძლება „მეზობლის“ დარწმუნება იმაში, რომ ის „ჩიხში“ თვითონ არის შემწყვდეული და ამ თავის დაჩიხვაში ყველაზე მეტი დვაწლი მისსავე კალამს მიუძღვის? რითი შეგვიძლიან დავაჯეროთ მეზობელი იმაში, რომ სამედიატორო სამართალი „ხავსი“ არ არის? რომ ის, პირიქით, ერთად-ერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლიან გაანათოს სადაო საგანი, აღადგინოს სინამდვილე და მით ფრთები შეაკვეცოს ცილის მწამებელთა თარეშს? დიაღ, ის—ამ შემთხვევაში—ერთად-ერთი საშუალებაა და ამიტომაც მისი „ხავსად“ მიჩნევა, ვგონებ, მეზობელსაც კი არ მიეტევება. ქვევით ბ-ნი მეზობელი უკვე გვიმხელს, თუ რა ჰქონდა მას სახეში, როცა თავის წინა წერილში ასე გვემუქრებოდა: „რომ ისტორიასა და შთამომავლობას არ დაეკარგოს, თქვენს მოღვაწეობას გამოვაამაშკარავებო“. ახლა მისი განმარტებიდან ირკვევა, რომ მას თურმე ჩემის ნაწერების შეკრება და მისი განხილვა-გაკრიტიკება სდომებია... ნამდვილი ბავშური მუქარაა!... ვისაც ამ გვარ მუქარის ეშინიან „მეზობელო“, ის ვერც რამეს დასწერს... პირადად მე გზას გილოცავთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს; მაგრამ ვშიშობ კი: ვაი, თუ თქვენმა ასეთმა წინასწარ განზრახვით დაწერილმა კრიტიკამ თქვენვე გაგხადოთ საისტორიო მასალად!... ასეთ საუცხოვო განმარტების შემდეგ მეზობელი, ბრძანებს: „ბ. ართმელაძე ჩემგან ალბად საშინელ რამ უბედურების გამოაშკარავებას მოელოდაო“— მაგრამ აქაც ჩვეულებრივ სცდება ბ. მეზობელი: არ არსებულის გამოაშკარავებას მე არას დროს არ მოველოდი; მაგრამ სამაგიეროდ ამ „არ არსებულის“ შეწამება—მეზობლისთანა მოწინააღმდეგისაგან კი ყოველთვის მოველოდი და დღესაც მოველი. რაც შეეხება მედიატორებად ჩემგან დასახელებულ პირების (ორ პირველის) თქვენგან არ-მიღებას, ამაზედ შემდეგს მოგახსენებთ: მედიატორეთა ამორჩევის დროს მე ორის მოსაზრებით ხელმძღვანელობდი. უწინარეს ყოვლისა—მე ვცდილობდი ისეთ პირების არჩევას, რომლებსაც სასწავლებლის მნიშვნელობასთან ერთად, თვით ამ „დავის“ ისტორიაც ცოდნოდათ; მეორე, ასეთი პირები ლანჩხუთის საზოგადოების მკვიდრნი (ე. ი. მუდმივი მცხოვრები) არ ყოფილიყვნენ. სწორედ ასეთი პირები იყვნენ ისინი, რომლებიც მე თქვენ დაგისახელეთ მედიატორებად. მაგრამ თქვენ აქაც მიზეზს პოულობთ და ბრძანებთ: „ორი მათგანი (ე. ი. ბბ. ჯაფარიძე და მღვ. ჩხაიძე) მოწმეებად მყავს დასახელებული თავის პირველ წერილში და ამიტომ მათი მედიატორებად მიღება უხერხული იქნებაო“.—თუ ჩემგან ამორჩეული პირები—თქვენ მოწმეებად გამოგადგებათ, ბ. მეზობელო, მით უკეთესი თქვენთვის: აქ ხომ საქმე სინდისით სწყდება და მაშასადამე საქმის ასეთი ცოდნა ხელს თუ შეუწყობს სადაო საკითხის შეუცდომელად გამორკვევას, თორემ ხომ არ შეუშლის?! მათი დანიშვნა უხერხული მაშინ იქნებოდა, რომ მათ წინააღმდეგ თქვენ, ან თქვენს წინააღმდეგ მათ—რაიმე ჰქონდეს... მაგრამ ასეთი თქვენს შორის არაფერი არსებობს. თავის მხრით არც მე მაქვს-რა იმის საწინააღმდეგო, რომ ჩემმა ამორჩეულმა მედიატორებმა თქვენთვის სასარგებლო რაიმე იცოდნენ და არჩიონ. თუ თქვენ, მეზობელო, ამის შემდეგაც მოისურვებთ იმათ გამოცვლას, გვამცნობთ კერძო წერილით და ჩვენც კერძო წერილითვე დაგისახელებთ სამაგიერო პირებს. რაც შეეხება თქვენს მეორე სურვილს „რომ სამედიატორო სასამართლო ქუთაისში უნდა დაინიშნოსო“, ამაზე დათანხმება კი უფრო სამძიმოდ მიმაჩნია და აი რატომ: სამედიატორო სასამართლოს დანიშნულებაა, როგორც მოგეხსენებათ, საქმის შეუცდომლად გამორკვევა; რაიცა მოსახერხებელია მხოლოდ მაშინ, როცა საქმე ადგილობრივად ირკვევა; ამიტომაც ასეთი სასამართლო ყოველთვის იქ ინიშნება, სადაც ეს გამოსარკვევი საქმე სწარმოებდა, სადაც საბუთებიც იშოვება და მოწმეებიც. ხსენებულ „დავის“ გამორკვევის საქმეში ასეთი ადგილი ლანჩხუთის საზოგადოებაა და ამიტომ მეც იქ გიწვევდით სამედიატორო სასამართლოში. თქვენ კი, რაღაც მოსაზრებით, გაურბიხართ ასეთ ადგილს და შორს გინდათ დაუდგეთ სინამდვილეს! ასეთ საქციელის გასამართლებლად თქვენი სიღარიბე მოგყავთ; მაგრამ, მომიტევეთ, მე არ მჯერა ეს: ერთი იმიტომ, რომ თქვენ ზაფხულში უკვე ბძანდებოდით თქვენს სოფელში, ე. ი. ლანჩხუთის საზოგადოებაში, და მაშასადამე ხელ-მეორედ ჩამოსვლა, ამ საქმისთვის, აღარ იქნებოდა საჭირო. მეორე, თქვენი ქუთაისიდან ლანჩხუთში ჩამოსვლა გაცილებით იმაზედ ნაკლები დაჯდებოდა, რაც ლანჩხუთიდან (ან შუხუთიდან) რამოდენიმე მოწმეების ქუთაისში, თავის ხარჯით ჩამოყვანა. ამასთან ისიც უნდა მიიღოთ მხედველობაში, „მეზობელო“, რომ ყველა იმ ბრალდებით, რომელთა ჩემთვის თავზე მოხვევა ინებეთ, დამტკიცება სჭირია. მეორის მხრით—ყველა იმას, რაც მე დამიწერია ამ „დავის“ შესახებ და თქვენ კი სხვანაირად გადაგინათლავთ, შემოწმება სჭირია მოწმეებისა და საბუთების შემწეობით. ყველა ესენი კი ლანჩხუთის საზოგადოებაში მოიპოვებიან... და, აბა, სად შეგვიძლიან ჩვენ—საჭირო საბუთებთან ერთად —ამოდენა მოწმეების ქუთაისში ამოყვანა, რჩენა და შემდეგ თავისივე ხარჯით ლანჩხუთისკენ გამგზავრება?! ამის შემდეგ, ვგონებ, თქვენც დამეთანხმებით, რომ, როგორც ამ სადაო საგნის შეუცდომლად გამორკვევა, ისე თვით ჩემი და თქვენი ქონებრივი შეუძლებლობაც ლანჩხუთში უფრო მოითხოვენ სამედ. სასამართლოს დანიშვნას, ვიდრე ქუთაისში. და თუ თქვენ ამის შემდეგაც თავისას არ დაიშლით, იმ შემთხვევაში, რა გაეწყობა, ქუთაისშიაც დაგისახელებთ (კერძო წერილით) მედიატორებს; მაგრამ იმ პირობით კი, რომ აქედგან გამოწვეულთ ზედმეტი ხარჯი თქვენ იკისროთ.

შემდეგ ამ „თავის განმარტებაში“ თქვენ ასეთის პასუხით აბოლოვებთ: „ჩემი ნიღაბი თუმცა თქვენთვის და თქვენის მეგობრებისათვის დიდი ხანია ახდილია, მარა მეც ვჯიუტობ და არ ვიხდიო“.—სწორედ, რომ საუცხოვო პასუხია!... მე თქვენ გთხოვდით, პირბადე აიხადეთ და ისე გამომყევით სამედ. სამართალში-მეთქი. თქვენ კი ამის პასუხად მეუბნებით: „ვჯიუტობ და არ ვიხდიო!“—განა მე არ ვიცი, რომ თქვენ ჯიუტობთ?! დიახ, მეც ვხედავ, რომ ჯიუტობთ და ასეთი თქვენი ჯიუტობა ადვილი მისახვედრიც არის თუმცა თქვენ თქვენის თავის წინაშე არხეინად გრძნობთ თავს, მაგრამ სამაგიეროდ მკითხველ საზოგადოების წინაშე თქვენის ნამდვილ სახის გამოჩენას კი უფრთხით. ამიტომ მეც განმეორებით მოვითხოვ თქვენგან, იხადოთ პირბადე და ისე გამომყვეთ სამედიატორო სამართალში, თუ ლანჩხუთში არა, ქუთაისში მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები თქვენს ასეთ საქციელს შესაფერი სახელი უწოდო.*)

ტ. ართმელაძე.

---

*) ეს წერილი ივნისში დაიწერა, მაგრამ აქამდის მისი დაბეჭდვა არ მოხერხდა. „ჩვენი გაზ.“ რედაქციამ მისი დაბეჭდვა არ ინება, მაშინ, როდესაც ჩემს წინააღმდეგ მიმართულ წერილს უკვე დაუთმო ადგილი. ავტორი.

*) განაჩენი ყველა ადგილობრივ გაზეთებში უნდა იქმნას გამოცხადებული. ავტ

მუქთად
15 ძვირფასი ნივთი
ეგზავნება ყველას, მეკვეთისა და გადაგზავნის ფასად, მემკვეთელი იხდის 60 კ. მიღების დროს. დაწუნებული ნივთები უკანვე მიიღება და ფულიც უბრუნდება
ადრესი: Лодзь Т-ву „Универсаль“.
Метцль и К-о—88963. (232 1—1)

დოქტ. ნავასარდიანისა
ყოველ დღე, კვირების გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დ ი ლ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეგლარიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.
ბ. გ. ბაბახანოვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. გეევხკაბა-ენგედი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარცინკევიჩი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

გამოცდილი მასწავლებელი
განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც —პანსიონში, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც).
მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. საღ. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ადგილას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.
ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала). (თ—152—24)

განცხადებანი
◀ მშობიარეთათვის ▶
თავშესაფარი
ბებია-ქალის
თუხარელისა.
ოლგას ქ., ხაზებიოვ ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.
მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—718)

საოჯახო ნომრები
ტფილისში
ქალაქის შუა ადგილი, ელისაბედის ქუჩა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, სახლი ძმ. მილოვებისა № 1. ოთახები ნათელი და მშრალი, თბილი კარიდორებით. მოსამსახურეთ ქალები და კაცები; განათებულ ელექტრონით. ნომრები ორ-ორი ოთახებიანიც არის.
ფ ა ს ი: 60 კაპეიკიდან 2 მანეთამდე: თვიურებს დაეთმობათ.
(30—181—11) პატრონი ნომრებისა ს. მომცელიძე.

თევზის მაღაზია
ს. ა. ზუკასოვისა
პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, მართლმადიდებელთა ძველის სემინარიის პირდაპირ
ტელეფონი № 395
ტელეფონი № 395



განუწყვეტლივ, ყოველ დღე მოგვდის ახალ-ახალი ზუთხი და თართი, ხიზილალა პარკისა, ქვირითისა და კოლოფებით. საუკეთესო დოში და ზურგიელი და აგრეთვე ყოველგვარი თევზეული.
ფასები სინიდისიერია. პატივისცემით ს. ა. ზუკასოვი. (40—33—24)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა
სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარალანა).
ხიზილალა
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ.
აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—128—37)
ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სონღულაშვილი.